ტფილისი

№ 255
1877

ივერია

№ 255
1903

ნოემბერი 29, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 1 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნეინა სოფიო ვასილის ასული, თავადი კონსტანტინე, კნიაჟნები ანასტასია და ბარბარე და კნეინა ქეთევან ჯიბრალის ასული ამირეჯიბნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უეცრივ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა, მეორენი—მამისა, ხოლო უკანასკნელი—მამამთილისა 1-ლ კავკასიის ჯართ-კორპუსისა გენერალ-ლეიტენანტის

თავადის მიხეილ ქაიხოსროს ძის ამირეჯიბისას

პანაშვიდები 28 და 29 ნოემბერს 1 და 7 საათზედ. გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ სადგურიდან კრილოვის ქუჩაზედ № 8, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში, რომლის გალავანშივე დაკრძალულ იქნება გვამი მიცვალებულისა. (3—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

აქ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

წარმოდგენა № 24. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 20 ნოემბერს 1903 წ.

ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქ. გადმ. ვ. გუნიას-მიერ

II

ბუტიაობა

ვოდევ. 1 მოქ. ·ც წერეთლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ გუნია, ბ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად კ. მესხის საბენეფისოდ «რუსთაველი».

რეჟისორი **აკაკი**

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ.

ფასი ორი შაური.

10 - 9.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 29 ნოემბერს 1903 წ.

მეათე გალა-სპექტაკლი, ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

I

ბოჰემა

ოპერა 4 მოქ. მუს. პუჩჩინისა, თარგმანი ნ. ნ ფიგნერისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, კარტავინა; ბ-ნნი ფიგნერი, გლადკოვი, ევდახოვი, შმაკოვი, კლიუზნერი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დ. საწყისი საღამოს 8 საათზედ.

დილით: კვირას, 30 ნოემბერს, ორი სპექტაკლი დაკლებულის ფასით, «ევგენი ონეგინი» და საღამოს „სნეგურიჩკა“.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შკ. და შინაგ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აჰეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არჰანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 29 ნოემბერი.

„ივერიის“ მკითხველები ყურადღებას მიაქცევენ ჩვენის კორესპონდენტის დღევანდელს დეპეშას პეტერბურგიდამ შესახებ კახეთის რკინის გზისა.

დღევანდლამდის მხოლოდ ორს მიმართულებაზე იყო ბაასი: ზოგნი კახეთის გზის გაყვანას თიანეთზე ამჯობინებდნენ, ზოგნი, და მასთან უმეტესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, თხოულობდნენ, რომ კახეთის რკინის გზა უეჭველად ისე გაეყვანათ, როგორც ჩვენმა თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა და ტეხნიკური გამოკვლევაც მოახდინა.

დღეს-კი დეპეშა გვაუწყებს, რომ, ამ ორს მიმართულებას გარდა, სამინისტრო კომისიას მესამე მიმართულებაც დაუსახავს და ეს მიმართულება მოითხოვს, რომ კახეთის რკინის გზამ გომბორზე გადაიაროსო.

კომისიას გარდაუწყვეტია, ტეხნიკური გამოკვლევა სამთავე მიმართულებისა სახელმწიფო ხარჯით მოხდეს და ეს გარდაწყვეტილება ფრიად სასიამოვნოა, რადგანაც დღევანდლამდის მხოლოდ თავად-აზნაურობის მიმართულებაა გამოკვლეული; რაც-კი შეეხება თიანეთსა და გომბორზე გზის მიმართულებას, არასოდეს არავითარი ტეხნიკური გამოკვლევა არა ყოფილა არც სახელმწიფოსა და არც კერძო კაცის ხარჯით.

სამინისტრო კომისიის გარდაწყვეტილება მით უფრო სასიამოვნოა, რომ ტეხნიკური გამოკვლევა სახელმწიფო ხარჯით ერთხელ და სამუდამოდ ყველას დაარწმუნებს, რომელი მიმართულებაა უფრო საჭირო და ადვილად აღსასრულებელი; მაშინ და მხოლოდ მაშინ მოისპობა გაუთავებელი და ყველასათვის მოსაბეზრებელი ბაასი კახეთის რკინის გზის მიმართულებაზე.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ—და ჩვენს თქმას არავითარი წინასწარმეტყველება არ ესაჭიროება,—რომ ტეხნიკური გამოკვლევა უეჭველად თავად-აზნაურობის მიმართულებას აირჩევს, რადგანაც თიანეთსა და გომბორზე გზის გაყვანა ყოვლად შეუძლებელი და უსარგებლოა კახეთ-კუხეთისათვის. ჩვენის აზრის სიმართლეს ამტკიცებს ჭავჭავაძისა და სიმბერგის ოთხჯერ განახლებული კონცესია, რომელმაც ისე ჩუმად განუტევა სული, რომ არავისი სინანული არ გამოიწვია; არ გამოიწვია იმიტომ, რომ თვით კონცესიონერებს არა სჯეროდათ თიანეთზე რკინის გზის გაყვანის მოხერხება და მართლა არც მოხერხდა.

გომბორზე გზის გაყვანაც ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ათის ვერსის მანძილზე გვირაბი მოუნდება და რომელი ჭკვათა მყოფელი გვირჩევს, რომ ას ორმოც და ათ ვერსიან მანძილზე რკინის გზამ ათი ვერსი გვირაბით იაროს! ამგვარ რკინის გზით მისვლა-მოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ტარიფი დიდი და ყველასათვის საზარალო იქნება.

გარდა ამისა, ამ სამს მიმართულებაში, მხოლოდ თავად-აზნაურობის მიმართულებას გამოუჩნდა ფულიანი მზრუნველი; ეს მზრუნველი გახლავთ ინჟენერი ადრიანოვი, რომელსაც საჭირო თანხა დიდიხანია მზადა აქვს. მართალია, თიანეთის გზასაც გამოუჩნდნენ კონცესიენერები, მაგრამ უფულობის გამო ოთხჯერ განახლებული კონცესია ცუდ-უბრალოდ ჩაიფუშა.

ჩვენის აზრით, ქართველი საზოგადოება მოვალეა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მომავალ ტეხნიკურს გამოკვლევას და ყველა წოდების წარმომადგენელთ მონაწილეობა მიიღონ, თორემ უამისოდ ეს ტეხნიკური გამოკვლევა ისევ ისე უსარგებლოდ ჩაივლის, როგორც ჩაიარა ინჟენერ რომანოვის გამოკვლევამ, რაზედაც ხაზინამ **33,000** მანეთი დაჰხარჯა და სარგებლობა-კი ვერავინა ჰნახა.

ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამოირჩიოს თვისი საკუთარი კომისია, რომელიც უნდა შესდგებოდეს მცოდნეთაგან და ამ კომისიამ, მთავრობის ნებართვით, პირადი მონაწილეობა უნდა მიიღოს ტეხნიურ კამოკვლევაში.

შეფარდებული აზრი ტეხნიკურის გამოკვლევისა და ჩვენის წარმომადგენლებისა ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნებს მთავრობას და ჩვენს საზოგადოებას, რა მიმართულებით უნდა გაიაროს კახეთის რკინის გზამ.

ტფილისი

⁂ დეპეშით გვაცნობეს პეტერბურგიდან, რომ 27 ნოემბერს მთავრობის განსაკუთრებულ კომისიას გადაუწყვეტია, ხაზინის ხარჯით გამოიკვლიოს კახეთის რკინის გზის სამი მიმართულება: გომბორზე, თიანეთზედ და მიმართულება თავად-აზნაურობისა. როგორც ამბობენ, გამოკვლევას ადრე გაზაფხულზედვე შეუდგებიანო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც ეღირსება კახეთს რკინის გზის გაყვანა.

⁂ 18 იანვარს ტფილისში დანიშნულია კოჯრის რწმუნებულთა არჩევნები. კოჯრის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს ამ დღეებში წარუდგინა სია იმათი, ვისაც მონაწილეობის მიღების ნება აქვს ამ არჩევნებში.

⁂ გუშინ დილას კრება იყო დანიშნული კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელსაც უნდა განეხილა ბ-ნ დემენტიევის მოხსენება, მაგრამ კრება სხვა დროისათვის გადიდო.

⁂ 17 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოში მისულა 19 ადამიანი. 12 ყელჭირებით ყოფილა ავად, 1 ყვავილით, 5 ხუნაგით, ერთიც საოფლით. საავადმყოფოდან წასულა 2, მომკვდარა 2,—ერთი ყელჭირებით, ერთიც საოფლით. დარჩენილა სულ 35 ავადმყოფი. ამავ ხნის განმავლობაში სიფილისით ავადმყოფ ქალთა სამკურნალოში მისულა 5 ქალი, წასულა 4, დარჩენილა შიგვე 27. თავისუფალი ადგილი ამ ჟამად 28 არის.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ აცნობა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, ძალაში შედის ქალაქის საბჭოს დადგენილება ჯარიმის გადახდევინების შესახებ, რადგან თქვენ დროზედ არ განასაჩივრეთ ეს დადგენილებაო. ქალაქის საბჭომ ბელგიის უსახელო საზოგადოებას გადაუწყვიტა ცხენის რკინის გზის ცუდად განათებისათვის ჯარიმის გადახდევინება. 10 მანეთი უნდა გადახდეს.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს განსაკუთრებულ ბჭობის განსახილველად წარუდგენს მოკლე ხანში ბ-ნ სტაროსელსკისაგან შემუშავებულ მოხსენებას ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესახებ.

⁂ 1895 წლიდან დღემდე ტფილისის გუბერნიაში კეთრიანებით ავად გამხდარა 20 კაცი: თიანეთის მაზრაში 4, ბორჩალოსაში 2, ტფილისისაში 4, ახალქალაქისაში 4, გორისაში 1, თელავისაში 1, დუშეთისაში 2 და ქალაქ ტფილისში 3. ამ ჟამად ტფილისის გუბერნიაში ათი კაცია ავად. ყველა ეს ცნობა შეუკრე-

ბია საგუბერნიო მკურნალის თანაშემწეს ბ-ნ მაჭავარიანს.

გუშინწინ ტფილისის ქალაქის გამგეობას ტფილისში მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა კომისიამ წარუდგინა მოხსენება, დააწესეთ ერთი ადგილი მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწისაო. ამ მოსამართლემ, რომელსაც ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს ქალაქისაგან, უნდა გაარჩიოს საქმეები იმ მცხოვრებლებისა, რომელნიც ქალაქის საბჭოს დადგენილებას დაარღვევენო.

საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს, მოაწყოს სკოლის გარედ გაკვეთილები მოზრდილი შეგირდებისათვის. ასეთს გაკვეთილებზე უნდა შეასწავლონ საზოგადო განათლებისა ან სპეციალური საგნები. ამგვარ გაკვეთილების მოწყობის ნება მიეცემა სამოსწავლო უწყებას, ერობას, ქალაქისა და სოფლის თვითმართველობას და სხვ.

ტფილისის ქალაქის გამგეობას კარგა ხანია აზრად აქვს გააკეთოს მუხრანის ხიდი; ცალკე კომისიაც-კი აირჩია ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ ჯერჯერობით ამ კომისიას არაფერი გაუკეთებია. მხოლოდ ეხლა მიჰმართა ამ კომისიამ ქალაქის გამგეობას, დანიშნეთ კონკურსი პროექტებისაო. მოკლე ხანში გაზეთებში იქმნება დაბეჭდილი განცხადება სხვა-და-სხვა პროექტების წარდგენის შესახებ. პროექტები წარდგენილ უნდა იქმნას ოთხის თვის განმავლობაში. როდის განიხილავენ პროექტებს, ან როდის გააკეთებენ ხიდს, არავინ უწყის.

როგორც ვუწყით, ტფილისში ბევრს ადგილას ფარნები დგას, მაგრამ არ ანთებს. ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ დაავალა ორს თავის წევრს ა. ი. ხატისოვს და ი. მ. დოლუხანოვს, დაათვალიერეთ ქალაქის ქუჩები, სად არ ანთია ფარნებიო.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს გამოიწეროს იმიერ კასპიის ოლქიდან ერთნაირი კაკლის ხე, რომელიც მესამე წელიწადს ნაყოფს იძლევა.

ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილების სადგომი თავის დანიშნულებას არ შეეფერება, ამიტომ ქალაქის გამგეობა ეძებს საავადმყოფოსათვის სხვა შენობას.

ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე ბ-ნი ალიხანოვი ქალაქის გამგეობამ გაჰგზავნა ბორჯომს, სადაც უნდა ეყიდნა ახალქალაქიდან ჩამორეკილი საქონელი. ბ-ნ ალიხანოვს არაფერი არ უყიდია და ცალიერი ჩამოვიდა, რადგან საქონელი ძვირიაო.

გორის მაზრაში, სოფელ სომანეთის მახლობლად, მტკვარზე ბორანს ამუშავებს გრიგორაშვილი. ბორანი დაძველებულია, ასე რომ იმაზე დაჯდომა ძალიან საშიშია. გორის მაზრის უფროსს აუკრძალავს გრიგორაშვილისთვის ხალხის გაყვანა, ვიდრე ბორანს კარგად არ შეაკეთებს.

როგორც მკითხველთ უწყიან, ელიანცი აშენებს იჯარით ტფილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის სადგომს. ელიანცს 1 დეკემბრამდე უნდა დაესრულებინა შენობა და ჩაებარებინა ქალაქისთვის. ახლა ელიანცმა შეიტანა თხოვნა ქალაქის გამგეობაში, წრეულს მუშა ხალხი ცოტა იყო და ამასთან ძვირი და ამიტომ ნება მომეცით 25 დეკემბერს ჩაგაბაროთ დამთავრებული შენობაო. ქალაქის გამგეობამ გაგზავნა შენობის დასათვალიერებლად ქალაქის ტეხნიკი ბ-ნი ზურაბიანცი, რომელმაც საჭიროდ დაინახა 20 დეკემბრამდე მიეცეს ნება ელიანცს შენობის დამთავრებისა. ელიანცი ახლა ცხენების სადგომებს ამთავრებს. სადგომი სვინიდისიერად უშენებია.

4 დეკემბერს კრება ექმნებათ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ. კრება განიხილავს, სხვათა შორის, განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონის ძიებათა მიღების შესახებ.

კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, დააარსეთ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი ქუთაისის გუბერნიის სოფ. სადმელსა, ხარაგაულსა და ბელოგორშიო.

ამას წინად ქალაქის გამგეობას იჯარით უნდა გაეცა ქალაქის დუქნები, რომელნიც ბაზრის ქუჩაზედ იმყოფება. გუშინ წინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს დუქნები ისევ ჩვენ ვაწარმოვოთ, რადგან იჯარადნენი მცირე ქირას გვაძლევენო.

დაბა სამტრედიის ქარხანაში, როგორც გვწერენ, თურმე ქალები მუშაობენ. ქარხანაში ღებავენ ძაფებს. ქალები მოდიან ქარხანაში დილის 5 საათზე და მუშაობას ათავებენ საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე ქალებს, რომელნიც ზოგი ორის ვერსის მანძილზედ სცხოვრობენ ქარხნიდან, ღამით უხდებათ მგზავრობა. ამას წინად ქალები მიდიოდნენ სახლში. გამოიარა ამ დროს ეტლმა, რომლიდგანაც გადმოხტა კაცი, მოიტაცა ერთი ახალგაზდა ქალი და წავიდა. დანარჩენებმა ყვირილი მორთეს. რის ვაი-ვაგლახით კაცი და ქალი ძლივს იპოვა პოქაულმა.

30 ნოემბერს შუადღის 12 საათზედ დანიშნულია კრება ტფილისის ნოქართა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა.

ჩვენ მივიღეთ „ჯეჯილი“ № XI, ჩვეულებრივ ფაქიზად გამოცემული და დასურათებული ამ შინაარსისა: თამარ მეფის ლომი—გ. წყალტუბელისა, ვინ იყო სერგეი მესხი—ან. წერეთლისა, პირველი აპრილი, კომედია 1 მოქმედებად, თარგმანი ს. ციციშვილისა, რამდენიმე ნათარგმნი წერილი, რებუსი, ანდაზა, გამოცანა და სხვ.

† თ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი

(ნეკროლოგი)

გუშინ-წინ, 27 ნოემბერს გარდაიცვალა პირველ კავკასიის კორპუსის კომანდირი გენერალ-ლეიტენანტი თ-დი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი.

განსვენებული დაიბადა 1833 წელს. მცირედი სწავლა მიიღო ალბულალის სამხედრო სასწავლებელში და 1851 წელს სამხედრო სამსახურში შევიდა ჯარის კაცად.

ახალგაზდა ამირეჯიბმა იმდენი ნიჭი, გულ-მოდგინება და მხნეობა გამოიჩინა, რომ მალე მიიღო პირველი ჩინი ოფიცრისა. 1863 წელს უკვე შტაბს-კაპიტანი იყო და იმავე წელს კაპიტნობა მიიღო მთიულებთან ბრძოლაში ვაჟკაცობისათვის. 1869 წელს მისცეს პოდპოლკოვნიკობა, ხოლო 1871 წელს პოლკოვნიკობა. 1877 წელს, როცა რუს-ოსმალთა ომი დაიწყო, უკვე პოლკის კომანდირობა მიიღო.

ომის დროს განსვენებულმა თავადმა მიხეილმა თავი ისახელა ალაჯინის ბრძოლაში, მიიღო ორდენი წმ. გიორგისა და ჩინი გენერალ-მაიორისა. თავი იჩინა კიდევ დევე-ბოინასთან ომში. 1880 წელს დაინიშნა კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლ ბრიგადის კომანდირად. 1893 წელს – 39 ქვეითის დივიზიის უფროსად და მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა. 1899 წელს, ესე იგი ამ ოთხის წლის წინად ჩაჰბარდა პირველი კავკასიის ჯართა კორპუსი და ითვლებოდა კორპუსის კომანდირად.

განსვენებულს ჰქონდა ორდენები: წმ. ალექსანდრე ნეველისა, თეთრის არწივისა, მე 2 ხარისხის ვლადიმირისა, 1-ლ ხარისხის ანნასი, სტანისლავისა გვირგვინით და სხ.

გაზ. «კავკაზი», საიდანაც ამოვკრიბეთ ეს ცნობანი, ამბობს: გუშინ დაჰხუჭა თვალი გელიავერდისა და დევე-ბოინის გმირმაო. მთლად თავისი სიცოცხლე თითქმის სულ ომსა და ბრძოლაში გაატარა. ყველა ხელ-ქვეითნი ერთნაირად უყვარდა. არ გამოარჩევდა არავის. ერთნაირად უყვარდა, ერთნაირად თავაზიანად ექცეოდა ყველას, იყო კარგი სულის კაცი, მართლის მოყვარული, სამართლიანი.

მიხეილ ამირეჯიბის სახელი არას დროს არ გაჰქრება ჩვენის ქვეყნის სამხედრო ისტორიაში, იმიტომ რომ ჭეშმარიტი გმირი და დიდად ნიჭიერი სარდალი და მხედართ-მთავარი იყო.

ძლიერი სული ძველის ქართველისა იდგა მის ახოვანს ტანში. ამ ძლიერის სულის წყალობით უბრალო ჯარის კაცი შეიქმნა სახელ-განთქმულ გმირად. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

ჩვენებური ამბები

სოფელი ბაჯი (რაჭა). ჩვენი სოფელი მდებარეობს მდინარე რიონის ნაპირს. სოფელი ბუნებას არ დაუჩაგრია: ტყით, მინდვრით, სახნავ სათესით, ვენახებით, და წყალით საკმაოდ დაუჯილდოებია. მოსავალი კარგი იცის, თუ ზამთარი მოულოდნელად არ გვესტუმრა. პური, ღვინო, სიმინდი, ქერი ზანდური, ფეტვი, ღომი, ცერცვი, ლობიო, მუხუდო, ბარდა, ოსპი და სხვა ნათესი უხვად აჯილდოებს მშრომელს. წელს-კი მუშა ხალხს მოსავლის იმედი გაუცუდდა, რადგან ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა. ზამთრის სიცივე ადრე გვესტუმრა, ზოგიერთი სოფლები კიდეც დათოვა. როგორცა სჩანს, წელს დიდ ზამთარს უნდა მოველოდეთ. ჩვენის მაზრიდგან, როგორც მოგეხსენებათ რაჭველების ცხოვრება, ხალხი დაიძრა, გუდა-ნაბადი აიკიდა და მოდიან სხვა და სხვა ადგილს სამუშაოდ და ამ მთელს ზამთარს ქალების ამარა სტოვებს ოჯახს. ან და რა ჰქნან, რომ ესე არ მოიქცნენ? ათას მოთხოვნილებას როგორ გასცენ პასუხი? ჩვენი ცხოვრება დასაბამიდან ასეა და ჩვენს ტანჯვას საზღვარი არა აქვს. ჩვენს სოფელში 100 კომლი ვართ გლეხი და აზნაური. წერა-კითხვა თითქმის ყველამ იცის, როგორც კაცმა, ისე ქალმა, დიდმაც და პატარამაც. ქურდობა და ავაზაკობა აქ იშვიათია. ჩვენს სოფელში შარშანდელ გრძელ ზამთრისაგან გაფუჭებული გზები ეხლაც შეუკეთებელია. ჩვენს სოფელში საჭიროა ერთი სამრევლო სკოლა მაინც დაარსდეს, რადგანაც ეხლანდელი ჩვენი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ძრიელ შორს არის ჩვენზედ. აგრეთვე საჭიროა სამკითხველო ანუ წიგნთ-საცავი. ჟურნალ-გაზეთები მაინც მოგვდიოდეს, ვიცოდეთ ქვეყნის ავი და კარგი.

ე. ნ. დვალი.

კავკასია

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ გრძელის შავის-ზღვის პირის რკინის გზის მაგიერ გაყვანილ იქმნას ორი მოკლე-მანძილიანი გზა: ერთი ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან სუხუმამდე და მეორე არმავირიდან მაიკოპზედ ტუაპსემდე. პირველ გზას თვით ხაზინა გაიყვანს, ხოლო მეორეს—კავკავის რკინის გზის საზოგადოება. თუ საზოგადოება არ დათანხმდა ამ გზის გაყვანას, მერე ამ მეორე გზასაც ხაზინა იკისრებს. ეს მეორე გზა დაჯდება 35 მილიონი, ხოლო თუ ტუაპსეში პორტი გადიდდა, რასაც დასჭირდება 10 მილიონი და რაც აუცილებლად საჭიროა, სულ დაჯდება 45 მილიონი.

რუსეთი

მინა კაურის ქალს, ღედათა სხვა-და-სხვა საზოგადოების კავშირის თავსმჯდომარეს, დიდის თანაგრძნობით ალსავსე დეპეშა გაუგზავნია რუსეთის უმაღლესს კურსებისათვის 25 წლის იუბილეის გამო. ყველას აკვირვებს ევროპაში ის, რაც მოიღვაწეს და მოიჭირნახულეს რუსეთის დედაკაცებმაო. ეგ დედაკაცნი პირველ რაზმის მებრძოლნი არიან არა მარტო რუსეთშიო.

— დაიბეჭდა ვითა მასალა განსაკუთრებულ ბჭობისათვის, რომელიც იკვლევს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებას, წერილი პროფ. ა. მანუილოვისა: იჯარა ანუ ღალა მამულისა რუსეთში ეკონომიურის მხრივ—**Аренда земли въ Россіи въ экономическомъ отношеніи.** წერილი დაბეჭდილია „ფინანსთა ვესტნიკში“.

— ხუთის წლის წინად პეტერბურგში მეზღვაურმა ფონ—ლიპგარდმა შეირთო პატიოსანი ყმაწვილი ქალი, ასული განათლებულის ოჯახისა. ოთხს წელს კარგად სცხოვრობდნენ ცოლ-ქმარნი. მეხუთე წელს უსიამოვნება გამოერიათ და განშორდნენ. ქმარი კრონშტადტში სცხოვრობდა, ქალი—ნომრებში. ქმარი აღარ დადიოდა ცოლთან. 21 ნოემბერს ქმარს თავის ამხანაგებთან ერთად ექეიფნა და საღამოზედ მარიამის თეატრში წასულიყო. ცალკე ლოჟა აეღო. შეენიშნა, რომ პარტერში მისი ცოლიცა ჰზის და გვერდზედ მჯდომ მამა-კაცებს ემუსაიფება. ფონ-ლიპგარდი ჩავიდა პარტერში და თავის ცოლის უკან დაიჭირა ადგილი. მერე გადიხარა, დაუმიზნა რევოლვერი თავში მარჯვნივ და ესროლა. რევოლვერი პატარა იყო, თითქო სათამაშოაო და ამიტომ სუბუქად დაიჭრა ქალი. ორჯელ თავადაც დაირტყა, მაგრამ იმასაც სასიკვდილო არა უჭირს-რა. შეპყრობილმა კაცმა არა სთქვა, რამ აიძულა ბოროტმოქმედების ჩადენა. ქალმა სთქვა, რომ ალბად ექვიანობით მოუვიდა ჩემს ქმარს ჩემი დაჭრაო.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ 200,000 მ. გადასდო ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში მოუსავლობით დაზარალებულთათვის პურის სასყიდლად.

— დონის ოლქშიაც უნდათ ერობის შემოღება. ცალკე კომისია მუშაობს ამისათვის პეტერბურგში.

— ორი ბოროტ-მოქმედი დაეცა თავს ღამე რიაზანის რკინის გზის სადგურზე ჟანდარმს არჟანოვს. ერთი ყელში სწვდა, ხოლო მეორემ ცული დასთხლიშა თავში. ჟანდარმი დაეცა და სისხლმა თქრიალით დაუწყო დენა. ბოროტ-მოქმედნი დაიმალნენ, ჟანდარმი სამკურნალოში წაიყვანეს.

— სარატოვის საეპარქიო სასწავლებლების საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ძალიან ნუ გაამრავლებთ სამრევლო სკოლებს, რადგან წელს ჩვეულებრივ ვერ მოგეცემათ ხაზინიდან ნახევარ მილიონი მანეთიო.

უცხოეთი

ბულგარია. როდესაც ბულგარიის პარლამენტში ბჭობა დაიწყეს, რა უნდა მოხსე-

ფელეტონი

კოლა მეველიშვილი

(მოთხრობა)

VI*)

ჯერ ნურა თქმულა-რა, თორემ ამ ქვეყნად დამალვით არა დაიმალება-რა. დაფარული გულის ზრახვანიც-კი საცნაურ იქმნებიან, არა თუ გარსევან დურმიშხანოვიჩის მუქარა დამალულიყო.

— ჰი, ვენაცვალე ღმერთს, გაიგე, სოლიკო, რომ კოლას მასწავლებლობის უარიც მოსვლია?!.—ელაპარაკებოდა თამარი თავისს ძმა სოლიკო მღვდელს და თან სახეზე ბოროტის სიხარულის ღიმი უკრთოდა.

— მართლა?!—გამოეძრახა შორიდამ თამროს დედა თებრო,—კოლას დედამართა თავზე მამალი ბუზს არ ისვამდა, თავს არა ხრილობდა,—განა თავს იგრე დავიმცირებ, იგრე რა გამჭირებია, რომ ნატო გლეხი-კაცს მივცეო. ჩვენ ვიღაზერა ნაკლები ვართ, რომ სამაგალითო საქმე დავშვრათ, თითით საჩვენებელი გავხდეთ ქვეყნისაო,

— ჯერ-ჯერობით თუ მასწავლებლად იქნება, მალე ესეც მღვდლად ეკურთხებაო, ამას ვიღა დაუჯერს მღვდლობასაო, ტრაბახობდა იმ დღეს ნატო. დიდი იმედი ჰქონდა—იმ დრომდის მე რაღა მეჭკარება, რომ გავთხოვდე, ქმრის ხელში ყოფნასაც მოვესწრებიო. თუ ცოცხალია ადამიანი, ქმარშვილის ყოლითაც გაძღებაო, იმას-კი რას იფიქრებდა, თუ მასწავლებლობის ღირსსაც არ გაჰხდიდნენ.

— რა მიზეზით შემოუთვლიათ უარი?!. —შეეკითხა სოლიკო დას.

— იჰ, არ იცი, შვილო, მაგისი ხასიათი?! ტუჩის ატრუკვით წარმოსთქვა თებრომ,—რაც ეგ სოფელში მოტრიალდა ვიღა ჰყავს მადრიელი? ერი, მღვდელი, ნაცვალი, სუყველანი გადაიმტერა,—ერთიც არის მაგას თავს აცნობებდა.

— მაგ საცოდავს ჰგონია, ნახა სოფლის ნადირებს კბილს გამოუჩიჩქნი, უღელი შეუმსუბუქდება ხალხსაო, მაგრამ მაგან არ იცის, რომ ივანეს მაგიერ ახლა პეტრე წამოასკუპდება ხალხს კისერზე!!. მთელი ცხოვრება სოფლისა ისეა მოწყობილი, რომ თუ ბედმა გარგუნა და მოგხვდა ვინმე კლანჭებში, უნდა წაუჭირო კისერში, თორემ გარიყული დარჩები ამ ქვეყნად. აბა, ამისთანა გარემოებაში რაღაზე უნდა ვისმე შეეძულდე და ტყუილა უბრალოდ თავი აიტკივო?!. ცხოვრების წუმპეს ნათელი უნდა მივაყენოთ, რომ ბნელეთში შესაძლებელი საზიზღარი ძმათაჭამიობა გაჰქრეს და სირცხვილეული, ძლეული მყრალ კუნჭულში მაინც მიიმალოსო. აი, კოლას ფიქრები იმ თავიდვე! კარგია ამეების თქმა, მაგრამ რამდენი სული დაუღუპნია ამ ბნელეთს, რამდენი უბედურება დაუტრიალებია, რამდენი იმედი გაუცრუებია?! აბა მაგან რაღა უნდა ქნას, თუ მასწავლებლობაზედა უარი უთხრეს?! საით-ღა წაესვლევინება, როგორღა უნდა იცხოვროს?!. მაგის მამას სისაწყლისაგან ნაწლევები უჩანს, ეგღა უნდოდათ?!—ფილოსოფოსობდა სოლიკო ისეთის კილოთი, ვითომ გულში ენანებოდა კოლა და მისი ოჯახი.

— დედა ენაცვალოს სოლიკოს, მაგეებს არ გაჰყე შენ, შვილო, და იმიტომაც მოგცეს მალე ადგილი; აბა, რა ენაღვლებოდა, ეგეც თავის ქერქში ყოფილიყო, ეხლა ხომ მღვდელი იქნებოდა?!. დაიტრაბახა თებრომ.

მართლაც სოლიკო ნამდვილი პრაქტიკულის ცხოვრების კაცი იყო. სოლიკო ჰხედავდა, უმრავლესობა თავისს კერძო ბედნიერებას ემსახურებოდა და ესეც მოწადინებული იყო ამ კერპისათვის ექმივა გუნდრუკი ერთგულად, თავდადებით. რაც-კი სოლიკოს თავი ახსოვს და ცნობაში ჩავარდა, სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ: „შვილო, გაათავე კურსი, რომ კარგი, მდიდარი ცოლი შეგრთოთ, ქრთამ-მზითვიანი ქალი მოგგვაროთ, გითხოვოთო და შენც ანაფორა გადაიცვა, რომ ოჯახი გაახარო, ღარიბი დედმამა გააბედნიერო“, სოლიკოც ბეჯითად შეუდგა ამ ნატვრის ასრულებას. ჩაჰკირკიტებდა სოლიკო მთელი დღეები გაკვეთილებს. შიშის ზარსა სცემდა ის აზრი, როდესაც იფიქრებდა, ვაი თუ ეგზამენზე ჩავიჭრა და დამანარჩუნონო, მაშინ რაღა მეშველებაო. ჟრუანტელი უვლიდა ასო—ტანში. გარეშე წიგნების კითხვა ხომ ამისთვის აღკრძალული ხილი იყო, რომლის ახლო მიკარებაც-კი ვერ გაებედნა. ათასში ერთხელ, მოცლილ დროს, თუ წაიკითხავდა რასმე, ისიც სასწავლებლის წიგნთ-საცავიდან უნდა ყოფილიყო გამოტანილი, მომეტებულ ნაწილად სასულიერო შინაარსის წიგნები და ჟურნალები.

ამხანაგებმა იცოდნენ სოლიკოს ასეთი ხასიათი და იმიტომ განზე ექცეოდნენ, ახლოს არ იკარებდნენ კავშირებში, რომლებიც მრავლად მოქმედებდნენ იმ დროს სასწავლებლის შეგირდებს შორის. ხელთნაწერი ჟურნალებიც ბევრი დაიარებოდა ხელისხელ შეგირდებში, მაგრამ ამაების სულს ვინ მიადენიხებდა სოლიკოს. თუნდაც ხელში ჩავარდნოდა, მაინც სულივით გაეცლებოდა, ხელს არ დააწებებდა. კავშირი, წრეების არსებობა გაგონილი ჰქონდა, მიხვედრილი იყო, გეში ჰქონდა აღებული, რომ ამისი ამხანაგები დაიარებოდნენ, მაგრამ ეს დიდ კვლევაძიებაში არ შედიოდა: რაც უნდა ისა ქნან, მე მაგეებისათვის არა მცალიანო. წლითი წლობით სოლიკო სასურველ მიზანს უახლოვდებოდა, სასიხარულოდ თავისის დედმამისა. სასწავლებელშივე იყო სოლიკო, რომ დაინიშნა და ადგილიც იშოვნა მღვდლობისა. —„აბა, დედი, ისეთი ქალი ამიჩინე, პატა ბევრი ფული ჰქონდესო“, მალიმალ იმას ეუბნებოდა დედას სოლიკო. „ნახევარს თამროს გავატან ქრთამად, ნახევარიც კურთხევაში და ქორწილში მოგვინდებაო“. როგორც თებროს სწადდა, აუსრულდა გულის ნატვრა,—ეხლა სოლიკოც მღვდელი ჰყავს, რძალიც მდიდარი იშოვნა. „რა უყოთ, რომ ნასწავლი და ძალიან ლამაზი არ არისო“, იტყოდა ხოლმე თებრო, „ადამიანს ხასიათი უნდა ჰქონდეს ლამაზი, სახის სილამაზე რაში გამჭირვებიაო“...

ქალიც დაინიშნა და დღე დღეზე თამროს ქორწილის სამზადისში არიან გართულნი.

VII

— შენ შენთვის იყავ, კაცო! – ეუბნებოდა მიხა დიაკვანი თავისს შვილს კოლას,—შენ-კი დაეხსენ მაგათ და თავშიმც ქვა უხლიათ, რაც უნდა ჰქნან? ეხლა, არ იცი, ყველაფერს შენ ჩამოგაცხობენ თავზე?!. რო დაგაბეზღონ, რაღა გვეშველება?!.

— რას დამაბეზღებს, რას მიზამს?!.

— აი ეხლავე შენ თვალწინ ყელს გამოვიჭრიდა ცოდვაც შენ და მადლიც!— ხელი აიღე, შვილო, მაგ ხალხზე, შენ მოშორდი მაგათ, ეგ თვალები არ დამიშრიტო, შვილო?!. წუწუნებდა კოლას დედა მართა.

— როგორ თუ რას გიზამს,—ჯავრობის კილოთი წარმოსთქვა მიხამ,—ეხლა რომ ადგეს და დაგასმინოს, მასწავლებლობას ხომ აღარ მოგცემენ? მერე ბარებ აიღო და ყველანი უძირო ორმოში გადაგვყარო?!. ის არა სჯობია ამ ძაღლუმადურ ცხოვრებას?!. ჯერ ხომ ახლა ხეირი გვაყრია და, აბა, მაშინ აგვიშენდება ოჯახი!!

— მაშ კაცმა პირი უნდა გაიკეროს, რომ სიტყვა არ დაამთქნაროს. შენ თვალწინ ათასი სისაძაგლე ჰხდებოდეს, გულხელი უნდა დაიკრიფო და ისე გულგრილად უცქირო ამებს?!

— შენ-კი საყვედურში ნუ ჩაჰვარდები, ნურავის შესძულდები და რაც უნდათ, ის ჩაიდინონ. ვერა ჰხედავ, შენ შენი საქმე გაქვს თავში საცემი?!.

— ფერობის მეტი რა გმართებს, შვილო, ეხლა მაგათთან?!. ალერსიანად მიუბრუნდა მართა კოლას, დედა გენაცვა-

---

*) იხ. „ივერია», № 253.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდეს მთავრის სეფე-სიტყვის პასუხად, მთავარ-მინისტრად ნამყოფმა დანევმა, რომელიც რუსეთის მომხრეთა წარმომადგენელია, განაცხადა, რომ მის სამინისტროს დათხოვნა მოულოდნელი და უმიზეზო იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მითქმა-მოთქმას, ვითომც შეთქმულობა იყო მთავრის წინააღმდეგ, და სულელურ სიცრუეს, ვითომც ბურგასი და ვარნა რუსეთისათვის უნდა დაგვეთმოვო. დანევს უპასუხა ახლანდელმა მინისტრ-პრეზიდენტმა პეტროვმა, რომ წინანდელმა სამინისტრომ გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა იმ დროს, როდესაც სამთავრო განსაცდელში იყო, და ბულგარიის დასაცველად ღონისძიებას არ იღებდაო. ახლა ბულგარია ისეთს მდგომარეობაშია, რომ სხვასთან სახვეწური არა აქვს-რა და თავის თავს თვით უნდა გაუწიოს მეურვეობაო. მაკედონიის საქმეთა შესახებ ბულგარია ეცდება გამოუკიდებლად იმოქმედოს, ძლიერ სახელმწიფოთა მონაწილეობითო.

სერბია. სერბიის პოლიტიკოსები იუწყებიან, რომ ჩერნოგორიას, სერბიასა და ბულგარიას მოლაპარაკება აქვთ ხელ-შეკრულობით დაუკავშირდეთ საერთო მტრის მოსაგერებლადო. ამ სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთი დაპირებულ რეფორმებს აღსრულებაში არ მოიყვანს და საქმე ისე გამწვავდება, რომ მომავალ გაზაფხულს ბალკანეთის ნახევარ კუნძულს ააშფოთებს. ამის გამო ეს სამი სახელმწიფო დარწმუნდა, რომ მათ შორის მკვიდრი კავშირი უნდა არსებობდეს.

იაპონია. ევროპის ყველა გაზეთებმა გადმობეჭდეს ამერიკანულ გაზეთის Associated Press-ის პარიჟელ კორრესპონდენტის დეპეშა, ვითომც რუსეთი და იაპონია მორიგების გზას დაადგნენო. რუსეთი დასთანხმდება იმ ხელშეკრულობას, რომელიც იაპონიასა და კორეას დაუდვიათ 1896 და 1898 წლებში. ამ ხელშეკრულობით იაპონიამ მიიღო მრავალ-გვარი უფლება კორეის სახელმწიფოში. იაპონიაც თავის მხრივ ურჩობას არ გაუწევს აღსრულებაში მოიყვანონ ის ხელშეკრულობა, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს დაუდვიათ მანჯურიის შესახებ. ჰფიქრობენ, რუსეთი იმასაც დასთანხმდება, რომ კორეა და ჩინეთი კარ-ღია იყვნენ უცხო სახელმწიფოთათვის.

ინგლისის მწერლობას ჰგონია, რომ რუსეთ-საფრანგეთისა და ინგლის-იაპონიის განწყობილება შორეულს აღმოსავლეთში შეუძლიან სამმა სახელმწიფომ დაარღვიოს: ჩინეთმა, გერმანიამ და შეერთებულ შტატებმა. ჩინეთი რომ იაპონიას მხარს დაუჭერს, ამაზე თითქმის ეჭვიც არა აქვთ. შეერთებული შტატები რომ იაპონიას მიემხრობა და საფიქრებელია კიდეც დახმარებაც გაუწიოს, ესეც შესაძლოა. ხოლო ის არ არის გამორკვეული, თუ ომი ასტყდა, რუსეთის საფრანგეთის იმედი უნდა ჰქონდეს თუ არა? მათი დაკავშირება სავალდებულოა შორეულ აღმოსავლეთშიაც, თუ მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებას შეეხება? თუ საფრანგეთი არ დაეხმარა რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში, მაშინ შეიძლება სანატრელად გერმანიამ გაუწოდოს რუსეთს ხელი და თვითონაც გაიფართოვოს სამფლობელო შორეულ აღმოსავლეთში.

ერთი გზა მიაჩნიათ კიდევ შესაძლოდ რუსეთისა და იაპონიის მოსარიგებლად. ამბობენ შეერთებული შტატი აპირობს წინადადება მისცეს რუსეთს, რომ მანჯურიის საქმის გარდაწყვეტა გააგის საერთაშორისო სასამართლოს მივანდოთო, და ვითომც რუსეთიც თანხმობას აცხადებს.

ინდოეთი. ინდოეთის ჯარი ამ ჟამად დიდს ძალას წარმოადგენს თურმე და რიცხვით 218,000 კაცს აღემატება, რომელთაგან 75,000 ინგლისელია და დანარჩენი—ინდოელნი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, ძლივს გვეღირსა ამ სეზონში ერთი აზრიანი ახალი პიესა „ხალხის მტერი“ ანუ ექიმი შტოკმანი ჰ. იბსენისა, თარგ. ი. პოლმარდვინოვისა, თუმცა ეს ჩვენთვის ახალი პიესა 20 წლის წინად დაწერილა და უკვე ყველა განათლებულ ხალხთა რეპერტუარის კუთვნილებად გამხდარა.

როგორც იბსენის ყველა პიესებს, ამ ნაწარმოებსაც თავისი გარკვეულია აზრი, ტენდენცია აქვს. ის ტენდენცია ეგრედწ. საზოგადო აზრია, „შეერთებული და მჭიდროდ დაკავშირებული უმეტესობის“ სიავკარგეა იქ, სადაც ამ მჭიდრო კავშირს საფუძვლად რუტინა, უვიცობა და ტრადიციები დასდებია.

განათლებულს ექიმს შტოკმანს, ხანგრძლივის ცდისა და დაკვირვების შემდეგ, აღმოუჩენია, რომ ქალაქის აბანოები, რომელიც მისთვის სიმდიდრის წყაროდ გამხდარა, სენის და საძაგლობის მეტს არაფერს სძღვნიდა სააგარაკოდ მოსულს ხალხს, რადგანაც წყალს ჭაობებიდგან იღებდა. პატიოსანი ექიმი, რომელსაც ჭეშმარიტება თავ-დავიწყებამდის სწამს და უყვარს, გატაცებული ამ თავის აღმოჩენით, მიჰმართავს პრესას და საზოგადოებას უხსნის აბანოების გადაკეთების საჭიროებას. სულ სხვა მხრივ შეჰხედა საზოგადოების აზრმა ამ საქმეს. თუმცა პირველად პრესის წარმომადგენლები გოფსტადტი, „სახალხო მოამბის გამომცემელი“ (შალიკაშვილი), ბილინგი (იმედაშვილი), ასლაკსენი (ივანიძე) თანაგრძნობით მოეკიდნენ ექიმის აღმოჩენას, აღუთქვეს კიდეც დახმარება, მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე, როცა ჩაერია ქალაქის თავი შტოკმანი, ძმა ექიმისა (გედევანოვი). მან თავის ხალხში მოპოებულ ავტორიტეტის წყალობით, შეაცვლევინა აზრი პრესის მოთავეთ და იქამდის მიიყვანა საქმე, რომ სახალხო კრებაზედ ექიმი შტოკმანი ხალხის მტრად გამოცხადებული იყო. ესეც არ აკმარეს. შეუკრეს ყველა სახსარი ცხოვრებისათვის, ჩაუმტვრიეს შუშები სახლში, შვილები სკოლიდან გამოურიცხეს.

ამაოდ ცდილობდა კრებაზედ პატიოსანი მიმდევარი სიმართლისა, რომელსაც ვერ მოურიგებია ერთმანეთში ჭეშმარიტება და პრაქტიკული მოსაზრებანი უმეტესობისა, მოსაზრებანი, რომელიც სხვის მოწამვლაზედ და დაავადმყოფებაზედ იყო აშენებული,—ამაოდ სცდილობდა დაემტკიცებინა სრული უვარგისობა იმ წეს-წყობილებისა, რომელიც ერთხელვე გადმონაცემ ტრადიციებზედ აგებულა, არაფერს ახალს არ იკარებს; ამაოდ უძაგებდა მთავრობას, რომელსაც საზოგადო საქმე თავის პირად ანგარიშების წყაროდ გაუხდია, რომელიც თავის უმეცრებით, რეგვენობით რყვნის საზოგადოებას, აჩერებს მის წინ სვლას, მაგრამ ბრბომ, რომელსაც მართლა ხალხის მტერი გახდომოდა მოთავეთ ისევ თავისი მოკეთე ექიმი სცნო დამნაშავედ, არ გაუგონა კეთილის მყოფელს.

ბრბო ვერ მიხვდა, რომ საძაგელია ის მთავრობა, რ-ს წარმომადგენელნი „ნორჩ ბუჩქნარში შეშვებულ თხებს წააგვან, რომელნიც რასაც სჭამენ, ხომ სჭამენ, და რაც არ უნდათ სტკეპნიან და ანადგურებენ,—ვერ მიხვდა, რომ „სიცრუეზედ და უსვინდისობაზედ აგებული საზოგადოება უნდა დაირღვეს და დაიშალოს.

დიაღ, ძნელი არის რუტინის, ტრადიციების უარყოფა: ახალ ცხოვრების ალლოს აღება, შეგნება რჩეულთა ხვედრია და ისინი არიან კიდეც უკეთესის მომავლის წინამორბედნი.

ხალხის მტრად აღიარებული შტოკმანი, შეურაცხყოფილი ჭეშმარიტებისათვის, უარსა ჰყოფს მორტენ-კილის (კ. ყიფიანი) წინადადებას, უარჰყოფს კომპრომისს, მორიგებას და მასთან ერთად უარს ამბობს მთელ თავის ქონებაზედაც და განაგრძნობს თავის ხალხისთვის საკეთილდღეო მოღვაწეობას იმ აღმოჩენით გამხნევებული, რომ „ყველაზედ ძრიელი ქვეყნიერებაზედ ის არის, ვინც მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ჩამოეცალნენ, ბრძოლის ველს მაინც არ მიატოვებს.

საუცხოვო პიესაა! საუცხოვოდ დახატულია სიმართლისთვის თავ-დადებული ექ. შტოკმანი,—ეს სიმბოლო რწმენისა, შეუმდრკელის მისწრაფებისა, ეს წყარო იმედისა, რომ ძველის, მოწამლულის ცხოვრების ნანგრევებზედ ახალი ცხოვრება აღმოცენდება.

საუცხოვოდ დახასიათებულია ამ პიესაში „უმეტესობის“ წარმომადგენელნიც: პეტრე შტოკმანი ეს ობსკურანტი, თავის მთავრობის ყურმოჭრილი ყმა და მონა; გოფსტადი—ეს ვითომდა ლიბერალი ჟურნალისტი, რომელიც ბეჭდვითის სიტყვის წყალობით რყვნის და სწამლავს საზოგადოების აზრს; ასლაკსენი, ბილლინგი და სხვ.

თვით წარმოდგენას არა უშავდარა. პიესა ძნელი წარმოსადგენია. საერთოდ იბსენის პიესებს თავისებური ხასიათი აქვთ. ავტორი იმდენად ტიპების შექმნას არ სცდილობს, რამდენადაც აზრის, ტენდენციის გამოსახვას და გამორკვევას.

ამიტომაც არის, რომ მოქმედება პიესებში იმდენი არ არის, რამდენიც ლაპარაკი, დიალოგები, რომელთა შემწეობით ავტორი გვამცნევს თავის აზრს. პიესის აზრს კარგად შეგნება უნდა, რომ მსახიობმა დასძლიოს ეს დაბრკოლება, უმოქმედობა, და მაყურებელი არ მოაწყინოს.

ექიმ შტოკმანს თამაშობდა კ. მესხი, რომელსაც, არ ვიცით-კი რად, იბსენის გრიმი გაეკეთებინა. მსახიობმა სავსებით ვერ დაგვიხატა სიმართლისათვის გატაცებული ჭაბუკი—მოხუცი, თუმცა რამდენიმე მომენტი, მაგალითად, კრებაზედ, ცოცხლად გადმოგვცა. მიზეზი ასეთის თამაშობისა ამ შემთხვევაში უფრო როლის უცოდინარობა იყო, რომელიც მსახიობს ეტყობოდა.

სრული ხასიათი პეტრე შტოკმანის დაგვიხატა გედევანოვმა.

თავისებური ნამდვილი ტიპი მორტენ კილისა შექმნა კ. ყიფიანმა, რომელმაც მშვენივრად დაგვიხატა გულნატკენი მოხუცი, რომელსაც თანა სურს, რომ მართალი გამოდგეს მტრების გამოსაჯავრებლად შტოკმანის აღმოჩენა, თან-კი ირონიულის სიცილით ექცევა მას.

ანსამბლს ხელს უწყობდნენ ა. კარგარეთელი (პიეტრა), ელ. ჩერქეზიშვილი (ქ. შტოკმანი), ი. ივანიძე და სხვები.

ცოტა რამ წარმოდგენის მოწყობის შესახებაც. შტოკმანის სახლის შესავალი კარები, ჩვენის აზრით, უხერხულად იყო დადგმული. მართალია იმიტომაა საჭირო დერეფანი, რომ მაყურებელმა სრული შთაბეჭდილება იქონიოს შტოკმანთან შემსვლელ-გამსვლელზე, მაგრამ შეიძლებოდა მოეშორებინათ სცენისთვის კარი.

სახალხო კრებამაც ვერ ჩაიარა წესიერად. მეტი ყვირილი, სტვენა იყო. მთვრალი კაცის ისე უცებ განდევნა არ იყო საჭირო. ჯერ უნდა ეთქვა რამე და მერე უნდა გაეგდოთ.

საერთოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებით გამოვიდა თეატრიდან ხალხი, რომელიც ბლომად იყო.

ქ. ყი—ნი.

წერილი

რედაქციის მიმართ

ამას წინად გაზ. «ცნობის ფურცლის» ორს დიდ ფელეტონში (№№ 2292 და 2293) დაისტამბა ვრცელი წერილი ბ-ნ იუსტინე აბულაძისა სათაურით «ვეფხის-ტყაოსნის შესწავლის გამო». ავტორმა, თუმც დიდის რიხით დაიწყო შესავალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი რამ ვერ გვითხრა. მან თითქმის გაიმეორა პატივცემული პროფესორის ბ-ნ ალექსანდრე ხახანაშვილის აზრი, რომელსაც შევეხე, სხვათა შორის, ჩემს შრომაში სათაურით «შოთა რუსთველი და მისი პოემა» («მოამბე» № VII და VIII). ბ-ნი აბულაძე გაურისხდა თვით შოთა რუსთველს და უგიჟინა. სპარსული ენა არ გცოდნიათ; იშკის ნაცვლად ეშხს ხმარობ და მიჯნუნის მაგიერ მიჯნურსაო. ვკვირობთ, რად ვერ წარმოიდგინა ჩვენმა ორიენტალისტმა, რომ შოთამ იხმარა ის სიტყვები, რაც იმ დროს ხმარებაში იყო მთელს საქართველოში, რომელიც კაი ხანს იმყოფებოდა სპარს-არაბთა გავლენის ქვეშ; ამიტომ ხშირად იქნებოდა ჩვენს ენაში შეცვლილი სპარს-არაბული ტერმინები, ისე როგორც დღეს შევხვდებით რუსულს! შემდეგ ავტორი ურისხდება «ვეფხის-ტყაოსნის» კრიტიკოსთ, რომელთაც-კი ეს დიდი პოემა სცნეს ეროვნულ ნაწარმოებათ და ქართულ ცხოვრების მოთხრობათ.—«ჩვენის აზრითო,—ბრძანებს აბულაძე, ეს უნდა იყოს გაზვიადებული და ცრუ-პატრიოტიზმი და ჯეროვან ერუდიციის უქონლობაო». ამ სიტყვებს ორჯერ იმეორებს და ამგვარ ქათინაურებს ფეშქაშებს უძღვნის ბ-ნი აბულაძე როგორც უცხოელთ, ისე ქართველ მკვლევართ, მაგ. მარი ბროსეს, პრ. ჩუბინაშვილს, პლ. იოსელიანს, დიმ. ბაქრაძეს, აკაკის, ილია ჭავჭავაძეს, მ. ჯანაშვილსა და სხვებს, თუმც არ ახსენებს მათ სახელებს. ეს «ცნ. ფურცლის» კრიტიკოსი განსაკუთრებით ამხედრებულა ბ. ნ. მარზედ და ამ სტრიქონების დამწერზედ. „ვეფხის-ტყაოსნის“ გასარჩევად უნდა იცოდე უსათუოდ სპარსული ენა და აღმოსავლეთის მწერლობაო, (ისე, როგორც მე ვიციო, გვაგებინებს ავტორი), მაგრამ არც ამათი შესწავლაა უებარი საშუალება ჭეშმარიტების გამოსარკვევადო ამის მაგალითია ბ-ნი ნ. მარიო. ამ მეცნიერმა, ჩვენთვის გაუგებარ მიზეზით ჯერ შოთას მთარგმნელი უწოდა, მერე სპარსული რომანების გამდექსავი და ბოლოს ბრძანა, შეიძლება რუსთველს სპარსულ რომანში ქართველებიც ექოსო, ეს უკიდურესობანი მისი შედეგია, რომ არც ერთს რუსთველის შესახებ დამწერს ჯერ არ შეუსწავლია ამ ავტორის ენა იმდენად, რომ შესძლებოდა ტექსტის წაკითხვა და პირუთვნელი მსჯელობის გამოთქმაო, ამათში გამონაკლისად მიაჩნია მხოლოდ ბ-ნი ა. სა—ლი.

განსაკუთრებით ბ-ნი აბულაძე განრისხებულა ჩემზედ. მაგრამ სანამ ეს ნორჩი მეცნიერი ჭექა-ქუხილით დამგრგვინავდეს, ლბება და ქება-დიდებით იხსენიებს ბ-ნ დ. კარიჭაშვილს, რომლის რედაქციით და წინასიტყვაობით გამოსულ «ვეფხის-ტყაოსანს» უწოდებს «ფრიად სერიოზულ შრომას»,—ხოლო რადგან «მოამბეში» მოთავსებულმა ბ-ნ ს. ქვარიანის სტატიამ «შოთა რუსთველი და მისი პოემა» (ნუთუ სადაური ქართულია „სტატია“?) შესაძლოა ჭეშმარიტ ცოდნის ნაცვლად ხელი შეუწყოს კიდევ უფრო შემცდარ აზრების გავრცელებას ამ ნაწარმოებსა და იმის ავტორზედო, ამიტომ ვუერთდები ბ-ნ კარიჭაშვილის კეთილ სურვილსა და საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვა გამოვთქვა «ვეფხის ტყაოსნის» შესწავლის გამო“.

როცა ვეხებით რომელიმე შრომას და სა-

ლოს, თავი იგრე უნდა აჩვენო სულ ყველას, ისე უნდა მოიქცე, რომ ყველას თავი შეაყვარო. ძაღლმა-ძაღლის ტყავი ხიოს, შენ რა გენაღვლება?!.

— სხვაც არა იყოს რა, ჩვენ ყოფას არ უყურებ, კაცო?!.—ჩაერია ისევ მიხა,—ერთი პატარა ხანს მოისვენე, რომ ღმერთმა გადმოგვხედოს და მასწავლებლობა მოგცენ, თორემ ვერ უყურებ, კუდამდის ტყავი გაგძვრა?!. ე ნატოს დარდი კიდევ ცალკე მიღადრავს გულ-მუცელს, როდემდის უნდა გვიჯდეს სახლში და შემოგვყუროს?!. ღმერთი არ გაუწყრეთ და ე სოფელი რომ ირევა და იმზღვლევა დომხალივით, სულ შენ არ გადაგაბრალონ. ჩვენ ცოტა იგეთი იღბალი გვაქვს.

კოლამ იცოდა გარსევან ღურმიშხანოვიჩი ამის შესახებ კარგს არაფერს დასწერდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ „ჩემი ქაღალდიც იქ წავა, საცა ეგენი მისწერავენო“. ყველა მათ საქციელს სტატისტიკურის სინამდვილით ავწუსხამ და მთავრობას ვაცნობებო, არა მგონია, რომ მაგათმა სიტყვამ-კი გასჭრას და ჩემმა კალამმა-კი არაო“. გრძნობდა კოლა თავისს მდგომარეობას, მაგრამ ენა როგორ მოუტრიალდებოდა, რომ დედამისისათვის გაემხილა ეს თავისი მძიმე სულის კვეთება. არ ეყოფათ, რაც აქამდის იტანჯნენ?!. ეხლა რათ ჩაუმწარებს სიცოცხლეს; იმედი აქვს გაიმარჯვებს, ძლევა-მოსილი გამოვა ამ ბრძოლიდამ. სიმართლე ამის მხარეს არის. „არ მინდოდა აქამდის მიმეყვანა საქმე და, აბა, ვნახოთ, როგორი ყოჩაღი ბიჭები იქნებით, როდემდის იპარპაშებთ“.

VIII

— როცა აჰყვები ადამიანს, არ იცი, ის უფრო მეტებს გეტყვის?!.—მიუბრუნდა კოლა თავის დედას და ნატოს.

— მოდი და ნუ აჰყვებოდი, ისეთი სიტყვები მომახალა პირში, ცეცხლი მომეკიდა გულზე. „დაგიდგა თვალიო, ძმა უხეიროდ, ბედოვლათად გიგდია სახლშიო, იმედი გქონდა, მასწავლებლობას მაინც იშოვნის და ეგები მაშინ მაინც მეღირსოს გათხოვებაო, მაგრამ, შე თვალდამდგარო, ვერ გაიგე, მაგაზედაც პირში ჩალა-გამოვლებული დასვესო“.

— ეგ რაღა მიუქარავს,—სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა ნატოს მართამ და ჯავრისაგან ალმური აჰვარდა სახეზე, ენთო, ერთი არა მინდოდა-რა, იმ დროს იქა ვყოფილიყავი, შენ გაყურებინებდი იმის თამაშს, იმ უნამუსოსა და უპირიწყლოს, როგორ გამოგიშუპრავდი. ი პირისახე ბაყაყივით არ გადაჰთქლეშია, ისეთებს ავკიდებდი, ნახევარიც ვერ დაეთვალნა. განა ჰენსავით ველაპარაკებოდი-რა.

— ეჰ დაანებე თავი, დედი! რაც უნდათ ისა სთქვან,—მთელი დღე-ღამე ქორიკანობაში ატარებენ დროს აბა, მაგათგან მეტი რა გამოდნება. მაგათ თუ აჰყე, თავის თავს გაგაცილებენ.

— რათ უნდა თქვან, შვილო, ვისზე რა მეტი ალჩუ კოჭები ბრძანდებიან?!. თხა თხაზე ნაკლები ნადირმა შეჭამოს,—ცხარობდა გაალმასებული მართა. კაცის შვილობითა გვჯობიან, თუ ჩამომავლობით?!

— რას ამბობ, დედი, რეები არ წამომძახა მაგ უსირცხვილომ, პირ-ბნელმა. „შიმშილით კუჭი გიცხვებათო, რიგიანი სახლი არა გაქვსთ, სტუმარი შინ შეიყვანოთო, ქვეყანაზე ამასხრდითო...

— როგორ, როგორ?!.—აუმაღლა ხმა მართამ და თან ხელებს იქნევდა. თითონ თავიანთ თავს რატო არა კითხულობენ, რომ ყელთამდის ვალში არიან ჩაფლულნი?! რატო არ მოიცლიან, რა მალე ამზრავლებულან, ჯერ ხომ სული არც-კი მოუბრუნებიათ, ფიტი არ მოუკრავთ?!. რატო ავიწყდებათ, რომ მაგათი სისაწყლისაგან მეზობლები ითუთქებოდნენ, ნიათი ჰქონდათ გამქრალი მაგათის თხოვნისაგან?!. მაგისი დედა თებრო კალთა აწეული დადიოდა.

— ეგეც არ იყოს, სიღარიბე და სისაწყლე რა წამოსაძახი, დასაძრახისია,—სთქვა წყრომის კილოთი კოლამ,—მაგრამ ეჰ, მაგათ ჭკვა თვალებში აქვსთ. მაგათი ღმერთი ფულები და სიმდიდრეა. ყველაფერს ამ არშინზე ზომავენ. ვისაც მაგათის აზრით კარგი შეძლება და ფუფუნებით ცხოვრება არა აქვს, სათქმელიც არ არის ქვეყანაზე.

— ვინ მიაქვავათ ფულები?!. მეხი-კი დავაყარე და მედგარი მა გამოფარლალალებულ, გუდამშიერ თავ-ტანზე,—ჯავრობდა მართა—ი. სამოციოდე თუმანი რომ მიათხლიშა სიმამრმა სოლიკოს, ხომ არა ჰგონიათ ფულიანები გავხდითო. მაგათ მოვალეებს პირიც არ მოსწმინდათ მაგ ფულებმა. აბა, კარგი ქალია და თითონაც წაჰყვება ქრთამ-მზითევი—განა მარტო სიის მიცემაა. საქმე ის არის, სიძე რომ მოსთხოვთ, აბა, მაშინ დაკურკონ?! იმედი აქვსთ, დავგაცლისო, ტყუილებით ჯავრს გადავჩხაპამთ და მერე რაღას იზამსო...

— მერე როგორ პამპლაუშობს და იბერება! თავისზე სწორი აღარავინა ჰგონია, დედი,—ჩაერია ისევ ნატო.

— ერთი თავი დაანებეთ, განა ღირს მაგათზე მაგდენი ლაპარაკი?!. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“,—წარმოსთქვა ზიზღით კოლამ და კარში გავიდა, რათა ყური მოერიდებინა დედის და დის გაბოროტებულ გულის წყრომისათვის.

— განა ამ ცხოვრებასაც ცხოვრება ეთქმის?!—ფიქრობდა კოლა. მთელი სოფელი კერძოობის გრძნობაში, შენ-ჩემობის ვაი-ვაგლახში ჩაფლულა, ჩაყურყუმელავებულა, შური და მტრობაა გამეფებული. მეზობელს რომ მეზობლის ავი უხაროდეს და კარგი გულზე ჰხეთქავდეს, აბა იქ კეთილმა გრძნობამ, საზოგადო მოღვაწეობის გრძნობამ ფეხი როგორ უნდა მოიკიდოს, მთელი სოფელი იმას ადიდებს, ქებათა-ქების ხოტბას მას უგალობენ, ვინც კერძო ოჯახის კუჭის მონა-მოსამსახურეა, ვინც შენ-ჩემობის ღმერთს ემსახურება. თითით საჩვენებელი, წასაბაძი მოქმედების ადამიანი ის არის მაგათ თვალში და წარმოდგენაში, ვინც თავშიაც არ გაიტარებს საზოგადოების სამსახურს, თავგანწირვას. მაგათთვის სასურველი კაცი ის არის, ვისაც სხვისა ოფლით ჯიბე გაუსუქებია, გაფულიანებულა.—ბედოვლათი, უბედური, უხეირო, ვინც მათსავით მარტო გამდიდრებაზე, საკუთარ ბედნიერებაზე არ ფიქრობს, არ ეტრფის, არ ეთაყვანება, მაგრამ შორს, შორს ჩემგან, მწარე ფიქრებო! მიწასთან გასწორებას, დამხობას გიქადიან, ალგვას ქვეყნის პირიდამ, ვის ბინძურ მოქმედებასაც შუქი მიაყენე, გამოაშკარავე, საჯაროდ განაცხადე. . მაგრამ ვნახოთ!!. სოფელი, გულ უბრყვილო, მართალი ხალხი ჩემკენაა, მხარს დამიჭერს, ყველაფერი გამოაშკარავდება...

ასე ფიქრობდა კოლა, მაგრამ მართა კბილებს იყრევინებდა ჯავრისაგან,—ეგ რა მიუროტავს, დაუროშნია მოშლილ წისქვილივითაო... როგორ თუ კოლა მასწავლებლობიდამაც მშრალზე დასვესო!? ერთი იმ დღეს დედაკაცები რაღაცას ატრაკუნებდენ, ბუტბუტებდენ, „მართავ, მართალია, კოლაზე რაღაცეები გვესმის, ვითომ პრისტავს მაგაზე ქაღალდი მოსვლოდესო“.—მე ვუთხარი, რამ დაგაგიჟათ და დაგაცეტათ ხალხო, ქაღალდი თუ მოსულიყო რამე, ჩვენ არ უნდა გამოგვცხადებოდა? თქვენ რომელი ტელეგრამა მიიღეთ მეთქი. მართალია კოლას ნათხოვნი აქვს მასწავლებლობა, მაგრამ ჯერ ჩვენ არა შეგვიტყვია რა მეთქი. აი ეს მეორედ გავიგე ეგ სიტყვა, და ერთი, თუ ჩვენ მძახალ იოსებთან არ წაველ და არ შევიტყვე, იქნება იცოდეს რამე, არ იქნება. პრისტავთან მაინც წამომყვეს. თუ არი რამე ქაღალდი, არ გვეტყვის?!. მაშ, რა ღმერთი გაუწყრება?!—უფუფქავდა უშრეტი ნაღველი მართას გულს.

ე. მ—შვილი.

(დასასრული იქნება)

ნამ ვიტყოდეთ რამე დასკვნას, ჩემის აზრით, უნდა გავარჩიოთ იგი კეთილ სინდისიერათ და შემდეგ წარმოვთქვათ პირუთვნელი მსჯავრი. ეს გახლავთ საკრიტიკო აქსიომა, რომელიც უნდა იყოს მიჩნეული სააზროთ ჭეშმარიტებად ყოველ შეგნებულ და გონიერ ადამიანის შემეცნებაში, მაგრამ სამწუხაროთ, როგორც ჩანს ჩვენს ახლად მოვლენილ ორიენტალისტს დავიწყნია ეს მცნება. ან იქნებ ზედმეტად ცნო. იგი ოდნავაც არ შეხებია ჩემს შრომას („შოთა-რუსთველი და მისი პოემა»), რომელიც დამიწერია არა ექსპრომტათ და არც შეგვეთაით სტრიქონში ორი კაპეიკის მიღებისათვის, არა, ბ-ნო აბულაძე, ამ მცირე შრომას და მის მასალების შეგროვება—განხილვას მოვანდომე თვეები და წლები მე მიყვარდა ეგ საგანი და მსურდა გულით გამომერკვია ჭეშმარიტება, ე. ი. გამეგო. თუ რაზედაა აგებული «ვეფხის-ტყაოსანი» და რა გამოხატა შოთამ თავის უკვდავ პოემაში. მივაღწიე თუ არა მიზანს, ეს, მკითხველის და მეტადრე პირუთვნელ კრიტიკის საქმეა. დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ბ. ორიენტალისტო, რომ არ ვყოფილვარ აღმოსავლეთის ფაკულტეტზედ, არ დამითავრებია იგი თქვენსავით, არ შემისწავლია სპარსი არაბული ენა და ისე გავბედე «ვეფხის-ტყაოსნის» გარჩევა მე არა სპეციალისტმა. უბრალო მუშებსაც-კი შეუძლიათ თურმე რაიმე ახალის თქმა და გამოგონება; ამის მაგალითს ბლომათ გვაძლევს ისტორია; მაგ., უატი უბრალო მექანიკი იყო, სტეფენსონი უბრალო «კაჩეგარი», ჟაკარი—მუშა, მორზე—მხატვარი, ლინეი ხარაზი, ბოკლი მესამე კლასიდან გამოსული და ედისონი გაზეთების დამტარებელი, მაგრამ მიბრძანეთ, ბატონო, ნეტა რომელმა სპეციალისტებმა დიპლომიანებმა და მეცნიერებმა გამოიგონეს მაგათთანა რამ ან მოახდინეს ისტორიულს და კლასიფიკატორულ მეცნიერებაში მაგათთანა რეფორმები?! ამგვარ მაგალითებს კიდევ ბევრს მოვიყვანდით. მე სრულიად არ მსურს შევედარო ამ გამოჩენილ პირთ, — ჩვენს შორის დიდი მანძილია,—მწადია მხოლოთ გაგიახლოთ მეხსიერებაში, რომ არა-სპეციალისტთაც შეუძლიათ თქვან ახალი და ფხიზელი სპეციალურ სფერაში, ამიტომ მათ შრომას და აზრებს უნდა მოეპყრათ ჯეროვანის ყურადღებით და არ დაუყურებდეთ მათ ვიწრო პედანტიზმის ლურბინდით. ბ-ნო აბულაძე, გახსოვდეთ, რომ მარტო აღმოსავლეთის ფაკულტეტის გათავება, ჯიბეში დიპლომი და გულზედ შარნა, კიდევ არაფერს ამტკიცებს. ამასთან ერთად კაცს ეჭირვება კიდევ სხვა რამ, ე. ი. ცოდნა, განვითარება, ნიჭი და ფხიზელი აზროვნება, რომელნიც, სამწუხაროთ, ყველა დიპლომიანებს არა აქვთ, მაგრამ ბევრს არა-დიპლომიანებს-კი მოეპოვებათ ამაში, თუ თქვენ არა, მკითხველი მაინც დამეთანხმება

ბ-ნო აბულაძე, გულახდით მოგახსენებთ, რომ სრულიადაც არ მწყენია თქვენი ეგეთი უდიერი მოქცევა, ლიტონათ წარმოთქმული აზრი და ლანძღვა. ამგვარ ქათინაურებს კაი ხანია შევეჩვიე ბბ. რიგოლეტოს, კიტა აბაშიძის, სპექტატორის და მეტადრე „ცნობის ფურცლის“ და „შურდულის“ წყალობით. დიახ, შევეჩვიე და დიდ მადლს ვუძღვნი ყველა მაგათ, რადგან მაგათი ქება ჩემთვის ბევრათ უფრო საძრახი იქნებოდა, ვინემ კიცხვა (ჩემი აზრია და ვთხოვ ნურავინ გაცხარდება). არა, საწყენია ის, რომ ზოგიერთ მწერალთ ჩვენში ზნეთ აქვთ მეგობარ-ნათესავთა და დიდ ბობოლათა უნიადაგო ქება-დიდება და სხვა ყველასი ძირდვა და ძაგება. ამით ფონს ვერ გავალთ. ამით სიმართლეს და ჭეშმარიტებას ვერ ვემსახურებით. —ამ გვარი საქციელი, სამწუხაროთ, რევნის მკითხველს და ამცირებს ჩვენს პრესას.

არ მსურს გადავიხადო ნაცვალი, ბ-ნო აბულაძე, და შევება იმ ნაძალადევ აზრებს და ლოგიკურ ნახტომებს, რომელნიც მომწვდის თქვენს შრომაში. მხოლოდ მიკვირს, რატომ ამ თქვენ შრომას და მეტადრე იმ ადგილს, სადაც „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ არ უძღვნა მეთაური წერილი! ეს დარბაისელი რედაქცია არას დროს არ ტოვებს აღუნიშნავათ თუ კი რამ დაისტამბება ჩემს წინააღმდეგ, (დიდ მადლობას ვწირავ ამ გვარ ყურადღებისთვის). ამ რედაქციამ დიდის რიხით გადაბეჭდა და ვრცელი სხოლიები მიუძღვნა ჩემს წინააღმდეგ მომართულს ჭიათურის გმირთა ცილის წამებათ, სიცრუეს და ინსინუაციებს, მაგრამ როცა, ჩვენ ქართულსა და რუსულ გაზეთებში ჭეშმარიტი საბუთებით დავამტკიცეთ ამ გმირთა ბრალდების სიყალბე, მათი ნათქვამის სიცრუე, მათი ზნეობრივი გახრწნა და მეტადრე მათ მიერ შავი-ქვის მრეწველთა დაღუპვა, მთელი ჭიათურის წარმოების უსაზღვრო ზიანი, მაშინ-კი «ცნ. ფურცელმა» დაიგუბა პირში წყალი, გაკმიდა სული და კრინტიც არ დაძრა ქვეყნის ორგულთა და მცარცველთა წინააღმდეგ. აი როგორ მსახურებენ ერსა და ქვეყანას, აი როგორ ქურუმობენ სიმართლეს და ჭეშმარიტებას ჩვენი ზოგიერთი «პუბლიცისტები» და ბეჭდვითი სიტყვის ორგანონი!!..

სატირალია, სატირალი ზოგიერთ მწერალ-გაზეთის ასეთი დაკნინება, მონობა და ზნეობრივი გაკოტრება!.. და ბოლოს ვიტყვი «მოამბეში» მოთავსებულ ჩემს მცირე შრომის შესახებ «ვეფხის-ტყაოსანზე». მე არ ვამბობ, რომ იმ შრომაში გამოთქმული აზრი ერთად-ერთია და სრული ჭეშმარიტებაა-თქო; არა, ბატონებო; ადვილად შეიძლება მეც ვსცდები, იქნებ ჩემი აზრი ცალმხროვანია, ზერელე და სუსტათ დასაბუთებელი, იქნებ სულ სხვა რამ უდევს სარჩულად შოთას პოემას, გამოარკვიეთ, თუ ეს აგრეა, დაარღვიეთ ჩემი უსაფუძვლო აზრი, ჰკმეთ იგი! მე მსურს მხოლოდ სიმართლე! მე მწყურიან მხოლოდ ჭეშმარიტება! დიაღ, გთხოვთ ყველას, ბატონებო, დაარღვიოთ ჩემი აზრი, თუ ის ყალბია და მავნებელი; მაგრამ გამხელთ, რომ ლანძღვა და ლიტონათ წარმოთქმული აზრი არ უნდა იყვეს, გგონებ, მეცნიერებაში მიღებული მეთოდი. ამით ჭეშმარიტებას ვერ აღვადგენთ. ამისათვის საჭიროა ღრმა ცოდნა, საფუძვლიანი შრომა და მკვლევართა აზრების სერიოზული კრიტიკა. ფრიად და ფრიად სასურველია, რომ ჩვენი ძველი მწერლობის მცოდნე პირებმა კეთილ ინებონ, მიაქციონ ჩემს მცირე შრომასაც ყურადღება და გამოთქვან თავიანთი პირუთვნელი აზრი, როგორც კერძოთ მასზედ, ისე თვით შოთას უკვდავ პოემაზედ. ამგვარი კრიტიკით უფრო გამოირკვევა ჭეშმარიტება, ვინემ აბულაძისებურ უნიადაგო ძირდვით. —

ს. ქვარიანი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)

27 ნოემბერი.

პეტერბურგი. სამინისტროთა კომისიამ გადასწყვიტა ტექნიკურად გამოიკვლიოს კახეთის რკინის გზის მიმართულება თიონეთისა, გომბორზედ და სათავად-აზნაუროსო ხაზინის ხარჯით.

—

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი.

შანჰაი. ახლო მომავალში საიმპერატორო სახლობა სინან-ფუს აპირებს გადასვლას.

ბელგრადი. რადიკალთა ჯგუფმა კვალად განაცხადა, რომ მინისტრის თანამდებობას თავს ანებებს. მინისტრ-პრეზიდენტმა ეს ამბავი სკუპჩინას აუწყა დღევანდელ კრებაზე.

ქრისტიანია. ნობელის პრემიის კომიტეტმა აუწყა სტორნიგს, რომ პრემია მშვიდობიანობის დამყარების მეცადინეობისათვის ინგლისის საზოგადოებათა პალატის წევრს კრემერს აკუთვნა.

ტოკიო. იმპერატორი დაესწრო პარლამენტის სესსის პირველ კრებას და აღნიშნა, რომ ამ ჟამად მინისტრებს დიდის სიფრთხილით და გულდადებით ფრიად საყურადღებო საერთაშორისო მოლაპარაკება აქვთ, რათა მშვიდობიანობა არ დაირღვეს შორეულს აღმოსავლეთში და დაცულ იქმნას იაპონიის უფლება და ინტერესები.

სოფია (ოპოზიციის ცნობით). დიდის ამბით იდღესასწაულეს მეთხუთმეტე წლის თავი უნივერსიტეტის დაარსებისა სოფიაში. მთავარმა პროფესორები სადილად მიიწვია.

ტოკიო. რუსეთის ძლიერი ესკადრა, რომელშიაც 8 გემია და მათ შორის ორი საომრად დამზადებული, ამჟამად ჩემულპოშია. მოსვლისთანავე რუსეთის ელჩი სეულში და რუსეთის ადმირალი კორეის იმპერატორთან მივიდნენ სადარბაზოდ.

ვენა. ავსტრო-უნგრეთის მართებლობამ კანონიერად იცნო ახლად დაარსებული პანამის რესპუბლიკა.

ადენი. გავრცელდა ხმა, რომ ინგლისის ჯარში მოსამსახურე სომალიელნი აჯანყდნენ და გიჟის მოლლის ჯარს შეუერთდნენ.

მოსკოვი. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დაესწრო სადამოს კონსერვატორიაში.

28 ნოემბერი

მინსკი. არსდება საზოგადოება ბელორუსიის ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესასწავლად.

ოდესსა. ზღვაზე ამ ორ დღეს ღელვაა. ტემპერატურა ყინვის ერთ გრადუსამდე დაეცა.

რიგა. ინგლისელთა სანავთო საზოგადოებამ «ჩათამ-ოილფილდ“-მა, რომელიც მარშან დაარსდა კავკასიაში, შეიძინა რიგაში მამული, სადაც ნავთის აუზები უნდა გამართოს. პეტერბურგის ტექნოლოგიურის ინსტიტუტის 75 წლის იუბილეის გამო რიგის პოლიტეხნიკურის ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი პეტერბურგს გაემგზავრა.

ბერლინი. რეიხსტაგი. სოციალ-დემოკრატმა ბებელმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, იმპერიის კანცლერი ზნეობრივად უნდა ალჭურვილიყო რუსეთის წინმსვლელობის პოლიტიკის წინააღმდეგ მანჯურიაში. გრაფ ბიულოვმა უპასუხა, ბებელი ტყუილად მდებს ბრალსა მანჯურიის საქმეთა შესახებო, რადგან დედამიწის ზურგზედ არც ერთი ისეთი ადგილი არ მოიპოვება, რომელთანაც გერმანიას ისე მცირე კავშირი ჰქონდეს, როგორც მანჯურია არისო. იქ საქმეების გადახლართვა გერმანიისათვის ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ ჩვენი პოლიტიკა იმ ქვეყნის შესახებ წყნარი და მშვიდობიანიაო.

სტოკჰოლმი. ნობელის საქიმიო პრემია აკუთვნეს ფრანგს ბეკერელეს და პარიჟელ ცოლ-ქმარს კიურის. საფიზიკო—არრენიუსს სტოკჰოლმში, საექიმო—ფინდენს კოპენჰაგეში, სალიტერატურო—ბიერნშტეინს-ბიერნსონს ქრისტიანიაში.

სოფია (ოპოზიციის ცნობა). იმ ამბავმა, რომ უწმინდესმა სინოდმა განკარგულება მოახდინა იმპერიის ეკლესიებში შეწირულება შეგროვდეს მაკედონელთა სასარგებლოდ, აქ ფრიად კარგი შთაბეჭდილება იქონია. —ბორის სარაფოვი ბელგრადს წავიდა, სადაც დიდი მიტინგი იქმნება მაკედონიისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.—ბიტოლიიდგან იუწყებიან, რომ ბულგარიის არქიეპისკოპოზ გრიგორმა მოიარა რამდენიმე სოფელი, აჯანყების დროს დაზარალებული, უნდოდა ნუგეში ეცა და დახმარება გაეწია, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებმა არ მიუშვეს სამწყსოსთან საბაასოდ.

პეტერბურგის ბირჟა 25 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95,25 გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	457½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	345 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	291½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92⅛ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლღის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართული, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1	ხარისხისა გირვანქა	11 კ.
	„	8 კ.
3	„	96 კ.
სუკი		15 კ.
ცხვრის ხორცი		10 კ.
კამეჩისა		7 კ.
ღორისა		
1	ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2	„ (ბარძაყი)	10 კ.
3	„ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1	ხარისხისა	5 კ.
2	„	3½ კ.
3	„	3 კ.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1 დეკემბერს ამა წლისა მის დარბაზში ვაჭრობა იქმნება იჯარით გასაცემად მებაღის სადგომ სახლის აშენებისა სოფ. ავჭალაში, ვარაუდით 1,111 მანათისა და 94 კაპ. ვისაც ვაჭრობა უნდა, შეუძლიან წინადვე გაიგოს პირობები და განიხილოს ხარჯთ-აღრიცხვა მილის წყალის განყოფილებაში ყოველ დროს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6—3)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ოითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლაღიძესთან

ორი პუბლიცისტური წერილი

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—10)

Дозволено цензурою Тифлисъ 28 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи

დროებით რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.